ჩატარებული გაკვეთილის რეფლექსიის წარმოდგენისას სასურველია ყურადღება გაამახვილოთ შემდეგ საკითხებზე:

1. **რამდენად მიაღწიეს მოსწავლეებმა გეგმით განსაზღვრულ შედეგებს? უფრო მეტად რომელი შედეგების მიღწევით ხართ კმაყოფილი?**

2. **რა გავლენა იქონია გაკვეთილზე გამოყენებულმა სტრატეგიებმა**

ა) მოსწავლეთა ჩართულობასა და აქტიურ სწავლაზე?

ბ) მოსწავლეთა პროდუქტულ ინტერაქციაზე?

3. **რა ჩანს მოსწავლეთა ნამუშევრებიდან? რა აითვისეს? რომელი უნარების განვითარება იკვეთება?**

4. **თქვენ რა გამოგივიდათ ყველაზე უკეთ? რა სტრატეგიით გამოიწვიეთ და ჩართეთ მოსწავლეები? რა სტრატეგიები გამოიყენეთ ცოდნის კონსტრუირებისა და რეფლექსია-გამთლიანების ფაზებზე?**

5. **როგორ შეიცვალა გაკვეთილის სამოქმედო გეგმა მსვლელობის პროცესში? რატომ?**

6. **ამავე გაკვეთილის ხელმეორედ ჩატარების შემთხვევაში რას შეცვლიდით? როგორ გააუმჯობესებდით საკლასო გარემოს, აქტივობებს, სტრატეგიებს/მეთოდებს, ინსტრუქციებს, მოსწავლეთა დაჯგუფებებს, რესურსებს, მოსწავლეთა შეფასებას?**